პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 126 (3103)

1966 წ. 2 ივლისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი

საბოლოო განაცხადი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინა განაცხადი, სადაც დასახელებულია ფინალურ მატჩებში მონაწილე საბჭოთა ნაკრების 22 წევრი. აი ეს სია:

მეკარეები — ლ. იაშინი, ა. კავაზაშვილი, ვ. ბანიკოვი; **დაცვა** — ვ. პრონიმარიოვი, ა. შესტერნიოვი, მ. ხურცილავა, ლ. ოსტროვსკი, ვ. დანილოვი, ვ. გეტმანოვი, ვ. აფონინი, ა. კორნეევი; **ნახევარდაცვა** — ვ. ვორონინი, ი. სპო, გ. სიჭინავა, გ. ჰუსაინოვი; **თავდასხმა** — ს. მეტრეველი, ვ. პარკუიანი, ე. მალოფეევი, ვ. სერებრიანიკოვი, ა. ბანიშევსკი, ი. ჩისლენკო, ე. მარქაროვი.

...ზღვიდან ტაძრებში...

ქუთაისი, 1 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება. მოგვყავს პრიზიორთა სია:

უმცროსი ჯგუფი. 1. დავითაია (საქართველო), 2. მირზოიანი (სომხეთი), 3. ბოტკოვი (მოსკოვი).

მცირე. 1. პლატონოვი (მოსკოვი), 2. იშხანოვი (აზერბაიჯანი), 3. კიტაევი (მოსკოვი).

ქვემსუბუქი. 1. სიმხავი (აზერბაიჯანი), 2. გელაშვილი, 3. ეგაძე (ორივენი — საქართველო).

მსუბუქი. 1. ხირბილაძე, 2. საკანდელიძე, 3. ლეკვეიშვილი (სამივენი — საქართველო).

ქვესაშუალო. 1. ხანდოლიშვილი (საქართველო), 2. მატვეევი (მოსკოვი), 3. ავთანდილიანი (სომხეთი).

საშუალო. 1. მაკავარიანი, 2. ლუღუნიშვილი, 3. ტყემალაძე (სამივენი — საქართველო).

ქვემძიმე. 1. ბაკანაჩი (რსფსრ), 2. ერემეიშვილი (საქართველო), 3. ლეკამენკო (მოსკოვი).

მძიმე. 1. აბრამიანი (სომხეთი), 2. ხიორიძე (საქართველო), 3. ლებედენკო (მოსკოვი).

...და გ. ნოდიამ

მოსკოვი, 30 ივნისი. დღეს აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებსა და პლოვდივის „ბოტევს“ შორის. საბჭოთა ნაკრებში თამაშობდნენ შერგელაშვილი და ჭოხონელიძე თბილისის „დინამოდან“ და ძმები გ. და ლ. ნოდიები ქუთაისის „ტორპედოდან“.

გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა გუნდმა — 3:2. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთებს გაიტანეს ტესლენკომ, გერშკოვიჩმა და გ. ნოდიამ.

...ჩემპიონები, პრიზიორები

ქუთაისი, 1 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ... ბაიკანი), 2. ... (ორივენი — საქართველო). ... ...

დამთავრდა სახელმწიფო გამოცდები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში. ამ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი სკოლადამთავრებული — თავისუფალ ჭიდაობაში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ტ. ალიბეგაშვილი გამოცდის ჩაბარებისას. ალიბეგაშვილს ცდიან (მარცხნიდან): მ. თიკანაძე, ა. რატია, მ. ცხვედაძე და გ. ვარძელაშვილი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ჰორიზონტი პრ ჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში საქართველოსა და მოლდავეთის გუნდებმა შესაბამისად VI-VII ადგილები დაიკავეს.

ცხადია, ეს შედეგები არც თუ საამაყოა, მაშინ, როცა ორივე რესპუბლიკას ნიჩბოსნობის მასობრივად განვითარების საუკეთესო პირობები აქვს. ამ ასპარეზობის შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ახლა, მომავალი სპარტაკიადის მიჯნაზე სპორტსმენებს, როგორც იტყვიან, მომზადებაში „ძვედარი წერტილი“ უკვე გადატანილი უნდა ჰქონდეთ, უკვე ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი საბოლოო ჰორიზონტის კონტურები.

მოლდავეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელიც თბილისის ზღვაზე ჩატარდა, IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მონაწილეთა რაოდენობა და შეჯიბრების პროგრამა ისეთივე იყო, როგორიც მომავალ, საპასუხისმგებლო ასპარეზობაში იქნება, გასაგებია მატჩისადმი დიდი ინტერესი.

მოლდაველების გუნდს 9 საუკეთესო სპორტსმენი აკლდა, ჩვენსაკი — ერთი (ჯ. ხოშებაევი). ერთი შეხედვით, საქართველოს სპორტსმენებს იოლად უნდა დაჯაბნათ მეტოქეები, მაგრამ ნიჩბოსანთა ენით რომ ვთქვათ, ისინი მოწინააღმდეგეს „ტალღაზე მიჰყვებოდნენ“ და უპირატესობაც გარდამავალი იყო.

ჩვენი სპორტსმენების მომზადების დაბალი დონე დასაწყისიდანვე ნათლად ჩანდა. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ტექნიკურ მზადყოფნაში სტუმრებს აშკარად ჩამოვრჩებოდით. სტუმარი ქალები წუთში 105-106 მოსწას ასწრებდნენ, ჩვენები კი მხოლოდ 80-ს. ამ მხრივ თავი მაინცდამაინც ვერც მასპინძელმა ვაჟებმა გამოიჩინეს.

იგრძნობოდა, რომ საქართველოს სპორტსმენების უმეტესობა სერიოზულად არ ეკიდებოდა ასპარეზობას, რაც რესპუბლიკის უფროსმა მწვრთნელმა თ. ნეგეფტიდიმ ასე ახსნა: ჩვენი ნიჩბოსნები უფრო დაეინებით რესპუბლიკურ დონისძიებებში იბრძვიან, ვინაიდან ნაკრებ გუნდებში მოხვედრას ცდილობენ(?).

აი, 10.000 მ სტარტზე ოთხმოსასმელიანი ნავები გავიდნენ. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი ძლიერი ოთხეული (ა. მატკავა, ზ. მხეიძე, თ. ხუბაშვილი, ვ. პოკრიშენკო) გაიმარჯვებდა, მაგრამ პირველი წრის შემდეგ მათ მოულოდნელად ნაპირისკენ აიღეს გეზი. თურმე ნავში წყალი ჩასდგომოდათ და თავდაპირველად 400 მეტრით დაწინაურებულებმა წინ მოლდაველები გაუშვეს. ჩვენს კვარტეტს ფინიშთან ამაოდ ელოდნენ. უნდა ითქვას, რომ ნავების საკითხი დღემდე მწვავე პრობლემად რჩება. წარუმატებლობის მიზეზი ხშირად ესეც არის.

მოლდაველებმა მალე კიდევ ერთ წარმატებასაც მიაღწიეს იმავე დისტანციაზე ერთმოსასმელიანი ნავით, მაგრამ ორმოსასმელიანებით წაადგეს და ისევ ჩვენი გუნდი დაწინაურდა. ასპარეზობის ბოლო ეტაპზე საქართველოს ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ვ. კალიუჟნიმ მოლდაველ ვ. ბლაქვევიჩთან 10.000 მეტრზე ერმოსასმელიანი ნავით ორთაბრძოლაში მეტოქეს შევნებულად შეუშალა ხელი, დაეჯახა და თავად მოკლე გზით გასცდა მოსახვევს. კალიუჟნის არ ეპატიება ასეთი შეუფერებელი საქციელი. მსაჯთა კოლეგიას დაუყოვნებლივ შეეძლო ასპარეზობიდან მისი მოხსნა, მაგრამ აპატიეს. ამით გათამამებულმა, მან ისევ დაარღვია წესი და გზა მშვიდად განაგრძო. მაგრამ სამართალმა პურის ჭამა: გაიმარჯვა ვ. ბლაქვევიჩმა.

მსაჯთა კოლეგიის საბოლოო სხდომაზე ნიჩბოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ კ. რევიამ მოითხოვა გაეუქმებინათ კალიუჟნის შედეგი და სპორტსმენი უმსგავსოებისთვის დაესაჯათ, მაგრამ საქმე გადაჭრა მთავარი მწვრთნელის ა. არხანგელსკის სიტყვებმა: რაკი სხვა არ დაგვისჯია, ნურც მას დავსჯითო.

სტუმრების წარმომადგენელმა ა. ბელსკიმ იქვე სამართლიანად აღნიშნა, რომ ამ ასპარეზობაში მუდამ როდი იგრძნობოდა წმინდა სპორტული პაექრობა.

საიუბილეო სპარტაკიადებს— ღირსეული შეხვედრა!

მართლაც, მსაჯები ხშირად ტენდენციურობას იჩენდნენ, არ იყვნენ პრინციპულნი და მომთხოვნი. ეყო შემთხვევები, რომ შეჯიბრებიდან გამოთიშულ სპორტსმენებს ადგილებს და ქულებს აკუთვნებდნენ. ასე მოხდა ასპარეზობის ბოლოსაც. ჩვენი ოთხეული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინიშამდე არ მისულა, მსაჯთა კოლეგიამ კი მას II ადგილი „უბოძა“. ასეთმა „გულუხვობამ“ რა თქმა უნდა, გავლენა იქონია შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებზე.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ სპორტის ამ სახეობაში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია რიგზე. ასეთი მომზადებით შორს ვერ წავალთ. მოლდაველებს კი, როგორც ჩანს, სერიოზულად უფიქრიათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე და თუმცა ჩვენთან წაადგეს, უნდა ითქვას, რომ შედარებით ახალგაზრდული ძალებით უკეთ გამოიყურებოდნენ.

თ. გაბაშვილაძე.

• • •

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები ასეთია: **500 მ — ბაიდარა ერთადგილიანი.** ვაჟები: ს. ციცქიშვილი — 1.54,9, ქალები: ლ. ზესაბლოვა (საქართველო) — 2.19,5, ჭაბუკები: ა. კრატასიუკი (საქართველო) — 2.04,0, გოგონები: ე. ავერბახი (მოლდავეთი) — 4.26,0; **ორადგილიანი.** ვაჟები: მოლდავეთი — 1.47,2, ქალები: მოლდავეთი — 2.07,3, ჭაბუკები: საქართველო — 1.52,5, გოგონები: მოლდავეთი — 2.15,3; **ოთხადგილიანი.** ქალები: საქართველო — 1.54,6; **ესტაფეტა 4×500.** ვაჟები: საქართველო — 8.13,7, ქალები: მოლდავეთი — 10.04,5, ჭაბუკები: საქართველო — 8.43,3, გოგონები: მოლდავეთი — 10.23,7; 1.000 მ: **ერთადგილიანი.** ვაჟები: ა. ბაბიჩევი (საქართველო) — 5.15,0, ჭაბუკები: ი. ტურიკინი (საქართველო) — 5.00,0; **ორადგილიანი.** ვაჟები: მოლდავეთი — 4.05,0, ჭაბუკები: მოლდავეთი — 4.20,0; **ოთხადგილიანი.** ვაჟები: საქართველო — 3.43,0; 10.000 მ; **ერთადგილიანი.** ვაჟები: ვ. ბლაქვევიჩი (მოლდავეთი) — 57.49,8; **ორადგილიანი.** მოლდავეთი — 42.05,0, **ოთხადგილიანი:** მოლდავეთი — 42.19,6; 1.000 მ. **ერთადგილიანი კანოე.** ვაჟები: ნ. მაკოვეი (მოლდავეთი) — 5.55,0 ჭაბუკები: ა. ხაჩატურიანი (საქართველო) — 6.30,0; **ორადგილიანი.** ვაჟები: საქართველო — 6.40,0, ჭაბუკები: საქართველო — 5.45,0; 10.000 მ **ერთადგილიანი.** ვაჟები: ვ. გუცოლი (მოლდავეთი) — 1:06.37,7; **ორადგილიანი:** საქართველო — 59.00,7; **ესტაფეტა 4×500 მ** — საქართველო 9.49,5.

გუნდური შეგეგები ასეთია: საქართველო — 125 ქულა, მოლდავეთი — 124. ამ ორი რესპუბლიკის სპორტსმენთა შემდეგი შეხვედრა 24-26 სექტემბერს შედგება მოლდავეთში.

სტარტზეა რეზერვი

რამდენიმე დღეა თბილისში დაიწყო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი. სპორტის რამდენიმე სახეობაში ასპარეზობა უკვე დამთავრდა. შედეგების შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

ცურვა

რეგბრივ მოსალოდნელი იყო, ბრასით 100 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონმა თ. წყაროველმა (1.16.4), ხოლო ბატერფლაით ცურვაში—საქართველოს პროფკავშირთა IV სპარტაკიადის ჩემპიონმა დ. მამულაშვილმა (1.14.4). ორივე თბილისის 31-ე სასწავლებლის მოსწავლეა.

საინტერესო იყო სამი ძმის — ონუფრიენკოების გამოსვლა. უფროსმა ძმამ — ვლადიმერმა — პირველობა არავის დაუთმო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ფერვაში — 5.01,7. იგი 17 წლისაა, მე-6 სასწავლებელში სწავლობს და „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია ზემოაღნიშნულ მანძილზე ცურვაში. მეორე ძმა, 14 წლის ვიქტორიც, ამავე სასწავლებლის მოსწავლეა. მან II ადგილი დაიკავა ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში — 1.16,6. უმცროსი კი, საშა, სულ 8 წლისაა. მას უყვარს ცურვა და... შოკოლადი. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით და ბატერფლაით ცურვაში წარმატებისათვის (46 და 55 წამი) შეჯიბრების შემდეგ ძმებმა პატარა საშას შოკოლადი მიართვეს. ამ მაჩვენებლებით ნორჩმა მოცურავემ მოზარდთა II თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ასპარეზობა წარმატებით დასრულეს და გაიმარჯვეს: ჭაბუკებში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — ვ. ფილატოვმა — 1.03,6, 200 მეტრზე ბრასით — ი. კუზმინმა — 2.56,2, 100 მეტრზე ზურგზე — დ. ჩაბაკურმა — 1.16,4 (ყველანი — თბილისის მე-6 სასწავლებელი), ესტაფეტაში 4×100 — თბილისის მე-6 სასწავლებელმა — 4.34,1; გოგონებში — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით — ს. სანაკოევმა—1.31,5, 100 მეტრზე ბრასით — ვ. აფანასიევამ — 1.44,2 (ორივენი — თბილისის 23-ე სასწავლებელი). გამარჯვება 4×100 ესტაფეტაშიც თბილისის 23-ე სასწავლებლის მოცურავეებს ხვდათ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის 31-ე (ჭაბუკთა შორის) და თბილისის 23-ე სასწავლებლის (გოგონებში) წარმომადგენლებმა.

მძლეოსნობა

თბილისის 27-ე სასწავლებლის მოსწავლე გოგონა ე. კოლესნიჩენკო „პროფესიით“ მორბენალია. მან 3 დისტანცია მოიგო: 100 მ — 13,7, 200 მ — 29,0 და 400 მ — 1.05,4, თანაც, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაშიც იმარჯვა.

ასევე წარმატებით გამოვიდა თბილისის 31-ე სასწავლებლის წარმომადგენელი რ. ჯიოევი. მან ყველას აჯობა სიმაღლეზე ხტომაში — 175 სმ, 110 მეტრზე თარჯრბენში — — 16,7, ხოლო შემდეგ რვაგრადშიც სცადა ძალა და წარმატებითაც: ჯიოევმა აქაც I ადგილი დაიკავა.

კარგი შედეგები მოიპოვა ფოთის მე-12 სასწავლებლის წარმომადგენელმა თ. ხოფერიამ 100 და 200 მეტრზე რბენაში — 11,4 და 24,2. თბილისის 31-ე სასწავლებლის მძლეოსანს ვ. ეიჯალკინს ტოლი არ ჰყავდა სიგრძეზე ხტომაში — 614 სმ. მან სამხტომში ერთადერთ მეტოქესთან (!) ბრძოლაშიც გაიმარჯვა (13,10 მ) და ჩემპიონობა დაესაკუთრა.

400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ქუთაისელმა ჭაბუკმა დ. ფრუიძემ (21-ე სასწავლებელი) — 58,4, ხოლო 800-ზე — ნ. სტრუჩენკომ (თბილისის 27-ე სასწავლებლის კურსდამთავრებული) — 2.12,0. გოგონათა შორის ბირთვის კვრაში პირველი იყო ზ. გოგოლაძე (თბილისის 23-ე სასწავლებელი).

აი, ისინი, ვინც ასე თუ ისე კარგად ისპარეზა. საერთოდ კი ამ შეჯიბრებამ ბევრი ნაკლი გამოავლინა. მაგალითად, უხვირო იყო გოგონათა შედეგები 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ჭაბუკებისა — 800 მეტრზე რბენაში, რვაკიდში, სამხტომში და სხვ.

გუნდური I ადგილი თბილისის 31-ე სასწავლებლის ნაკრებმა მოიპოვა.

სპორტული ტანვარჯიში

თბილისის 31-ე სასწავლებლის ტანმოვარჯიშეებს სამეცადინოდ შორს როდი უხდებათ წასვლა: დარბაზი იქვე აქვთ — სასწავლებლის გვერდით. სწორედ იქ გაიმართა რესპუბლიკური შეჯიბრებაც. „მშობლიურმა კედლებმა“ და, რა თქმა უნდა, სათანადო ოსტატობამ ამ სპარტაკიადაში მათ ჭაბუკთა გუნდური პირველობა მოაპოვებინა, გუნდის ოთხმა წევრმა კი პირად პირველობაში გაიმარჯვა: სპორტის ოსტატთა პროგრამით — ნ. ლაითაძემ (110.85), I თანრიგში — დ. ტაბატაძემ (107,5), II თანრიგში — ა. დოლბინმა (107,5), მოზარდთა I თანრიგში — თ. გელენიძემ (52,4).

მოზარდთა II თანრიგში ყველას აჯობა თბილისის მე-5 სასწავლებლის წარმომადგენელმა ნ. პაპუაშვილმა (51,7).

გოგონებში გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისის 27-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ოსტატთა პროგრამით — „შრომითი რეზერვების“ აღზრდილმა ლ. ბალანდინამ, პირველთანრიგოსნებში — ზ. კუტუევამ, ხოლო მოზარდთა II თანრიგში — ე. გუსევამ (ორივენი — თბილისის 27-ე სასწავლებელი).

მაგიდის ჩოგბურთი

საინტერესო გამოდგა ბათუმის 1-ლი და თბილისის მე-11 სასწავლებლების ჭაბუკთა გუნდების ფინალური შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გოგონებში პირველობა დაისაკუთრა 23-ე სასწავლებლის გუნდმა, რომელსაც ერთადერთი მეტოქე (!) ჰყავდა: შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს: რუსთავის მე-16 და ტყვარჩელის 22-ე სასწავლებლების სპორტსმენებმა.

კრივი

რინგზე გამოვიდა 63 ნორჩი ათლეტი. ყველას აჯობა თბილისის მე-18 სასწავლებლის გუნდმა.

დაძაბული იყო 46-48 კგ წონის მოკრივეთა — ფოთელი პირველთანრიგოსნის ზ. პერტიასა (მე-12 სასწავლებელი) და ქუთაისელი ა. ცხადაიას (მე-4 სასწავლებელი) შეხვედრა. ორმა რაუნდმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მესამე რაუნდში ფოთელი უკეთ გამოიყურებოდა და პირველობაც მოიპოვა.

მომდევნო წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ვ. საპენკო, შ. იუსუფოვი, ა. ამირხანიანი, ი. ვოლნიხი (ყველანი — თბილისის მე-18 სასწავლებელი), ა. გოდერიძე (ქუთაისის მე-4 სასწავლებელი), პ. მიასნიკოვი, თ. გორგოლაშვილი (ორივენი — თბილისის მე-11 სასწავლებელი), რ. ბასილაძე, პ. ლარინი და მ. ბონდარენკო (სამივენი — ქუთაისის მე-4 სასწავლებელი).

„ლელოს“ ბრიგადა.

ხურათზე: 100 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვებული თ. წყაროველი. ეს სურათი მოცურავეთა ასპარეზობის მონაწილემ ა. გურასაშვილმა გადაიღო. ასპარეზობაში „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელმა, ჩვენმა ნორჩმა ფოტოკორესპონდენტმაც ისახელა თავი: 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში შესაბამისად II და III ადგილები დაიკავა.

ᲓᲘᲓᲔᲠᲝᲒᲔᲜ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲓᲔᲑᲘ

თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის ცენტრალურ ტანვარჯიშულ დარბაზში მიმდინარეობს ამერიკავკასიის რესპუბლიკების მოზარდ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება. როგორც ცნობილია, ივლისის მეორე ნახევარში ვორონეჟში საკავშირო პირველობა უნდა ჩატარდეს და ეს ასპარეზობაც ბოლო რეპეტიციაა ამ დიდი ღონისძიების წინ: საბოლოოდ შუამდებელ გუნდების ძირითადი შემადგენლობა, იხვეწება ნებისმიერი ვარიანტები. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სპორტსმენები ამ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი არიან (გარდა ძირითადი გუნდისა) გოგონების 2 და ჭაბუკთა კიდევ 3 გუნდით, რომლებიც უკონკურსოდ ასპარეზობენ.

ტურნირი გახსნეს ჭაბუკებმა. გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე დაწინაურდა მასპინძელთა ნაკრები. შეჯიბრების პირველ დღეს მას 292,16 ქულა ჰქონდა სათვალავში. II ადგილზე არიან სომხეთის (284,79), III — აზერბაიჯანის წარმომადგენლები (265,388).

პირად პირველობაში (ოსტატობის

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

კანდიდატის პროგრამით) I და II ადგილებზე არიან ბ. ლოლაძე და გ. ჩქოტუა (ორივენი — საქართველო), III ადგილს ინარჩუნებს რ. კარაპეტიანი (სომხეთი).

პირველთანრიგოსნებშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — გ. მამულაშვილი, ა. ნოზაძე და ნ. ჯოჯუა დაწინაურდნენ. II თანრიგის პროგრამით ლიდერობენ ნ. გარდავა, პ. შამუგია და გ. მაკარიძე.

ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობს ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა ნაკრები — 199,1 ქულა.

საინტერესო გამოდგა გოგონათა პირადი პირველობა ოსტატის პროგრამით. ლიდერები ყოველი იარაღის შემდეგ იცვლებოდნენ. დღესდღეობით შედეგები ასეთია: რ. ჯინჭარაძე — 36,95 ქულა, შჩეტინკინა (აზერბაიჯანი) — 36,55, ტ. ტერ-ღუკასიანი (სომხეთი), რ. ბერიკაშვილი და ნ. ბიკოვა (ორივენი — საქართველო) — 36,25 ქულა თვითეულს.

შეჯიბრება გრძელდება.

ო. ჟორჟია,
სპორტის ოსტატი.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

30 ივნისს არაოფიციალური ვიზიტით სსრ კავშირში ჩამოვიდა შვეიცის პრინცი ბერტილი.

პრინცს, რომელიც შვეიცის სპორტულ კავშირს უდგას სათავეში, თან ახლავან ამ ქვეყნის გამოჩენილი სპორტული ოფიციალურები.

მოსკოვის გარდა სტუმარი ჩავა ლენინგრადში, თბილისში, ერევანში, ოდესასა და იალტაში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲔ

კომენტარები მწვრთნელის ინტერვიუზე

ᲡᲐᲠ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ნ. მოროზოვის ინტერვიუმ ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტთან, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო გამოქვეყნებული, დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. რედაქციის მისამართით ბევრი წერილი მოდის.

ᲐᲛ ინტერვიუს გამოსმაურა ქართული ფეხბურთის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. ᲙᲐᲛᲙᲐᲫᲔ. ᲕᲗᲮᲝᲕᲗ მის კომენტარებს ამ ინტერვიუს შეკითხვებზე პუნქტების მიხედვით.

● მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საბჭოთა ნაკრების ᲯᲔᲠ კიდევ დეკემბერში შედგენილი ვრცელი მოსამზადებელი გეგმა სწორი და მართებული იყო?

— ნაკრების გეგმის დეტალებს მე არა ვარ გაცნობილი, მაგრამ ცხადია, რომ იგი ძირითადად გულისხმობდა მოთამაშეთა ფორსირებულ მზადებას, რათა მათ თავიანთი სპორტული ფორმის ზენიტისთვის სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების დაწყების პერიოდისთვის მიეღწიათ. ჩემი აზრით, საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობენ, ივლისის პირველ ნახევარში ისედაც შედიან თავიანთი ნამდვილ საბრძოლო ფორმაში, ამიტომ საჭირო იყო ამბავთა მხოლოდ მცირეოდენი დაჩქარება და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. თუ კარგად დავაკვირდებით ნაკრების წევრებს და იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თავიანთ კლუბებში გამოდიან, შევამჩნევთ, რომ უკეთეს ფორმაში არიან ეს უკანასკნელნი და არა ისინი, ვისთვისაც ეს საგანგებო გეგმა იყო შედგენილი. საყოველთაოდ ცნობილია შესტერნიოვის, ვორონინის, მეტრეველის, მესხის მაღალი კლასი, მაგრამ ნაკრებში გავლილი წვრთნის შედეგად არც ერთი მათგანი არაა ნამდვილ სპორტულ ფორმაში. შესტერნიოვი, ვორონინი და მეტრეველი თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად გამოიყურებიან, ხოლო რაც შეეხება მესხს, იგი თავის ნამდვილ საბრძოლო ფორმაში ჩადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა. მე ვეკითხებოდ მესხს და აი, მისი პასუხი: „როცა ჩემს გუნდს დავუბრუნდი და პირველი ვარჯიში გავიარე, მეორე დღეს საშინლად მტკიოდა კუნთები. ითითქოს პირველად ვიყავი წვრთნაზე. ათიოდე ვარჯიშის შემდეგ კი ნამდვილ ფორმაში შევედი“.

ᲔᲡ მაგალითი ყველაზე ნათლად მეტყველებს, თუ ვინ უფრო დროზე და კარგად შევიდა ფორმაში — ნაკრები თუ საკლუბო გუნდები. ᲒᲐᲮᲐᲪᲘᲠᲘᲜᲐ: მესხი ნაკრებიდან იმიტომ გამოუშვეს, რომ ფორმაში არ იყო. მაგრამ საკმარისი გახდა კლუბში მისი დაბრუნება, რომ იგი თავის საბრძოლო კონდიციებს დაახლოებოდა და ახლა პრესასაც და სპეციალისტებსაც სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ნაკრების პირველი კანდიდატი მარცხენა ფრთაზე უნდა იყოს სწორედ მესხი და არა სხვა ვინმე. საყურადღებოა ისიც, რომ ნაკრებიდან ჩამოსულ მესხს პირველად არც თბილისის „დინამოში“ აყენებდნენ და არ აყენებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფორმაში არ იყო. საჭირო გახდა გარკვეული წვრთნის გავლა, რომ მესხი „წესრიგზე“ მოსულიყო.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ გეგმაზე ვიტყვი კიდევ იმას, რომ ზამთრის პერიოდში და ისიც ამდენი ხნით, არ იყო საჭირო სამხრეთ ამერიკაში მგზავრობა. იმ ხანებში საჭირო იყო მოსამზადებელი ვარჯიში, ხოლო საერთაშორისო სპარინგ-მატჩების ჩატარება კი — უფრო მოგვიანებით.

პრინციპულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ნაკრების წევრებს აშორებენ თავიანთ კლუბებს და ცალკე გუნდის სახით ავარჯიშებენ. ოდესღაც ეს იყო ექსპერიმენტი სწორედ მსოფლიო ჩემპიონატისთვის და იგი ჩაფლავდა. ᲩᲕᲔᲜ კი მაინც ჯიუტად განაგრძობთ იმავე „ექსპერიმენტს“, რომელიც საერთოდ, არაა პრაქტიკაში მიღებული საერთაშორისო ფეხბურთში. სავსებით ვეთანხმები ვ. ვორონინს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს მოთამაშეთა მთავარი სამზადისის წარმოებას კლუბებში. მაღალი კლასის ფეხბურთელს დიდი-დიდი 2 თვე ჭირდება, რომ შეთამაშება გაიაროს ნაკრებში და მისი ხანგრძლივი მოცილება ოჯახს, შეჩვეულ პირობებს, მშობლიურ კოლექტივს მხოლოდ საზიანოა.

● შეიძლება ითქვას თუ არა, რომ საძიებელს ბოლოსდაბოლოს, მიაგენით?

— ნ. მოროზოვმა კი შეადგინა გუნდი, მაგრამ თავიდანვე ᲰᲧᲐᲕᲓᲐ თუ არა მას ყველა უძლიერესი? ხომ დაჭირდა მწვრთნელს ბოლო ხანებში აეყვანა ახალი მოთამაშეები (ხურცილავა, მარქაროვი, კორნეევი, ოსტროუსკი, პარკუიანი). ეს ხომ არ აუტკივებს იმას, რომ ნ. მოროზოვის განკარგულებაში არსებული ნაკრების წევრები არ იყვნენ ფორმაში, კლუბების მოთამაშენი კი ამ დროს უკეთესად გამოიყურებოდნენ? გარდა ამისა, იანვარში მოროზოვის მიერ შერჩეული ფეხბურთელები ძირითადად შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით იყვნენ ნაკრებში ჩარიცხული. მას შემდეგ კი საკმაო დრომ განვლო, დადგა ახალი სეზონი, მოხდა ძალთა გარკვეული გადაფასება, ზოგიერთი შარშანდელი ფეხბურთელი ახლა აღარ ვარგა და. პირიქით, დაწინაურდნენ სხვანი. ამიტომ ნაკრების შედგენა საჭირო იყო არა 1965 წლის, არამედ 1966 წლის მაჩვენებლებით.

● თქვენ მართლაც დარწმუნებული ხართ, რომ კანდიდატთა სიაში ᲧᲕᲔᲚᲐ საუკეთესო იყო?

— „ვიმედოვნებ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ“. ნ. მოროზოვის ეს პასუხი განცვიფრებას იწვევს და, ჩემი აზრით, კომენტარებს არ საჭიროებს. როგორ შეიძლება მწვრთნელი არ იყოს დარწმუნებული იმაში, რასაც აკეთებს და არ სჯეროდეს იმისა, რაც მის ხელთაა. სწორედ ამიტომ იყო ასეთი დენადობა ნაკრებში.

შემდეგ მოროზოვი ამბობს, რომ თუ ბოლო მომენტში ვიპოვით კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელს და სასწრაფოდ შევიყვანთ ნაკრებში, ეს არ იძლევა გუნდის გაძლიერების გარანტიასო. საკვირველი ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲐ. მაშ რატომ აიყვანა მან მარქაროვი, თუ ამით ნაკრები არ გაძლიერდებოდა? ან როგორ შეიძლება კარგი ფეხბურთელის აყვანამ არ გააძლიეროს გუნდი, ნაკრები იქნება ეს, თუ საკლუბო?

● თქვენი სიტყვებიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბჭოთა ნაკრების ახალი ვარიანტი ხელს აძლევს მის მწვრთნელებს?

— აქ ისევ წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე. წინა შეკითხვაზე მოროზოვმა თქვა, რომ იმედოვნებდა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. აქ კი იგი აცხადებს, რომ ძირითადად დარწმუნებულია. მე ვფიქრობ, მის ამ წინააღმდეგობებს პასუხს გასცემს მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები.

● შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ ის 11 უცნობი, რომლებიც 12 ივლისს გამოვლენ მილდსბროს სტადიონის მინდორზე?

— ნაკრები გუნდების მწვრთნელები ასეთ დიდ შეჯიბრებათა წინ, ჩვეულებრივ, ნიღბავენ თავიანთ მთავარ გეგმებს და ძირითად შემადგენლობასაც. თუ მოროზოვი ამ მიზნით არ პასუხობს შეკითხვაზე, ეს გასაგებია. მაგრამ, თუ მას მართლაც არა აქვს ორიენტაცია აღებული გუნდის ძირითად შემადგენლობაზე, ეს უკვე ცუდია. ᲛᲘᲓᲐᲗᲐ დრომ განვლო, ძირითადი შემადგენლობა ახლა მზად უნდა იყოს.

● რატომ ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ სსრ კავშირის ნაკრების მიერ მოსკოვში ჩატარებულ მატჩებში იაშინი?

— ლ. იაშინმა ბევრი რამ გააკეთა საერთოდ საბჭოთა ფეხბურთისთვის და, კერძოდ, მისი ნაკრებისთვის. იაშინის რეპუტაცია ურყევია, მაგრამ ჩემი აზრით, იგი ინგლისში არ ითამაშებს. იაშინი მხოლოდ ავტორიტეტს უქმნის ნაკრებს და კეთილსაყოფიერ გავლენას ახდენს მის მზადებაზე. ინგლისში კი თამაშების ძირითადი სიმძიმე კავაზაშვილს უნდა დააწვეს. თუ ასე იქნა, მაშინ მოროზოვი სწორია, ხოლო თუ მან ფინალურ თამაშებში იაშინი დააყენა, მაშინ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝ, ამ მეკარეს უფრო მეტი ოფიციალური საწვრთნელი მატჩი უნდა ჩაეტარებინა.

● მაგრამ კარის უხიფათობა ხომ მხოლოდ მეკარის ოსტატობა არაა. აქ საჭიროა დაცვის საიმედო თამაშიც. კმაყოფილი ხართ თუ არა მცველთა თამაშით?

— ნ. მოროზოვი პასუხობს ასე: კიც და არაც საკვირველი პასუხია. მწვრთნელი ხომ შემდგომში თვითონ ამბობს, რომ 4 მცველიდან მაღალი კლასის მოთამაშეა მხოლოდ შესტერნიოვი, ე. ი. დანარჩენი 3 ძირითადად უვარგისია. როგორ შეიძლება ითქვას „კი“, როცა ხელთა გვაქვს აშკარა „არა“. ჩემი აზრით, სწორედ აქ ᲧᲕᲘᲗᲘ მწვრთნელის ოსტატობა. მან არ იცის აფონინი მიაღწევს თუ არა თავის საბრძოლო ფორმას, ეეჭვობს განაპირა მცველებზე. კორნეევის აყვანა მოსკოვის „სპარტაკიდან“ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მოთამაშეთა მზადება კლუბებში საკვლევი საკმარისია მათი ფორმაში შესასვლელად. დაბოლოს, არ ვეთანხმები მოროზოვს იმ საკითხში, რომ შესტერნიოვს არა ᲰᲧᲐᲕᲡ უახლოესი პარტნიორი ცენტრში, მეორე სტოპერი, რომელიც ამ ძლიერ ფეხბურთელს გაუმართავდა მხარს, ასეთ ფეხბურთელს მე ვიცნობ. ესაა მ. ხურცილავა.

● უძლიერესებს თქვენ მაინც ბოლო მომენტამდე ეძებდით?

— აქ იყვ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. ნ. მოროზოვი ამბობს, რომ კარგად იცნობდა კორნეევს და მის ᲫᲔᲑᲜᲐ არ იყო საჭირო. მაშ რატომ არ აᲰᲧᲐᲕᲓᲐ იგი აქამდე ნაკრებში? იმიტომ, რომ თავის კლუბში კორნეევი უკეთ მომზადებულიყო? გარდა ამისა, არც მარქაროვი და არც პარკუიანი, ჩემი აზრით, დიდი მონაპოვარი არ უნდა იყოს ნაკრებისთვის.

● 5 ივნისს მოსკოვში ცუდად ითამაშა ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲛ და ეს მისი პირველი წარუმატებლობა არ ყოფილა ახალ სეზონში. რა მოუვიდა ვორონინს?

— არა მარტო ვორონინი, ფორმაში არ იყვნენ მთელი რიგი სხვა ფეხბურთელებიც და, ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲘᲗ. ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ნაკრების წევრებმა ვერ მიაღწიეს იმ ფორმას, რომელსაც მიაღწიეს კლუბებიც მოთამაშეებმა გარდა ამისა, ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲜ არაერთხელ გადაუყვანიათ უკან. სტოპერად. მართალია, ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ უნიᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ფეხბურთელია, მაგრამ ნახევარდაცვიდან მის დაცვაში გადაყვანა აშკარა შეცდომაა. ეს მხოლოდ ხელს უშლის ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲡ ითამაშოს მთელი თავისი უნარით.

● თქვენ უკვე თქვით, რომ საბჭოთა გუნდს ინგლისში მოუწევს ბრძოლა მასირებული, მკაცრი დაცვის წინააღმდეგ. რა იარაღი გაქვთ შემონახული ამ შემთხვევისთვის?

— ნ. მოროზოვს მასირებული დაცვის წინააღმდეგ შემონახული ᲰᲭᲘᲜᲘᲐ სისწრაფე და მანევრება. თუ მწვრთნელის არსენალში მარტო ეს იარაღია, ეტყობა, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲠ გავარღვევთ მსოფლიოს საუკეთესო გუნდების მასირებულ დაცვას. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი ამგვარი დაცვის წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭიროა თავდამსხმელთა უაღრესად მაღალი ინდივიდუალური კლასი, ფილიგრანული ტექნიკა და ზუსტი, ძლიერი დარტყმები კარში. ᲐᲐᲗᲘ კლასის თავდამსხმელები კი, სამწუხაროდ, ნაკრებში ახლა მეტრეველის გარდა არავინაა მოროზოვს ბანიშევსკი მიაჩნია ჩვენი გუნდის ლიდერად, ბანიშევსკი კი თავდასხმის ლიდერი არ გახლავთ. ᲔᲠᲗ დროს ჩვენ გვყავდა თავდასხმის ნამდვილი ლიდერი — ივანოვი, რომელსაც ხაიმედოდ ეპყრა ხელთ თამაშის მართვის სადავეები. ბანიშევსკის კი. პირიქით, პარტნიორებმა უნდა შეუქმნან საგოლე მომენტები, რათა მან შედეგიანად დაამთავროს იერიში. ამ ᲪᲔᲜᲢᲠᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲣ თვითონ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ მაღალი კლასის პარტნიორები და „ვინ უნდა შეუქმნას ბანიშევსკის ასეთი თამაში? ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝᲛ და ᲛᲐᲚᲝᲡᲬᲔᲕᲔᲑᲐ? ᲔᲣᲭᲕᲠᲝ! ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ თავდამსხმელი ᲩᲕᲔᲜ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ აკლია, მარცხენა გარეშარის მეტად სპეციფიკურ ადგილზე დამაშობს მარჯვენა ფლანგიდან გადმოყვანილი ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝ. გამოდის, რომ ᲩᲕᲔᲜ თავდასხმას ახლა ᲰᲧᲐᲕᲡ მხოლოდ რიმი მაღალი კლასის თავდამსხმელი: მეტრეველი და ნაწილობრივ — ბანიშევსკი. ასეთი ძალებით კი მასირებული დაცვის გარღვევა ძალიან ძნელი იქნება.

ნ. მოროზოვი აღიარებს, რომ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ თავდამსხმელებს არ უვარგათ კარში დარტყმა, რომ ვერ ვიყენებთ ხელსაყრელ მომენტებს და ასეთი შესაძლებლობანი ინგლისში კიდევ უფრო ნაკლები გვექნება. საქმე მართლაც ვერ ყოფილა კარგად!

● მაისური მე-11 ნომრით თქვენ მიეცით მარჯვენაფლანგელ ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝს და უარი თქვით აშკარა ფავორიტზე — მიხეილ მესხზე. რატომ?

— 1958 წლის მსოფლიო ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲛᲐ ნათლად დაგვანახა, რომ ᲩᲕᲔᲜ საგრძნობლად ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲗᲘᲗ მოწინავე საერთაშორისო ფეხბურთს ტექნიკური მზადების დარგში. პრესაც აღნიშნავდა. რომ ᲩᲕᲔᲜᲘ გუნდი — ესაა მექანიზმი: ფიზიკურად კარგად მომზადებული, გამძლე, სწრაფი, მაგრამ მაინც მექანიზმი. გუნდი თამაშობდა უცვლელი შაბლონით და დაკანონებულ მითითებათა გადახვევა თითქმის ბორკმოქმედებად ითვლებოდა. გაიხსენეთ: ᲩᲕᲔᲜᲘ გუნდში თამაშობდნენ ისეთი კლასის ფეხბურთელები, როგორც სიმონიანი, სალნიკოვი, იაშინი, ივანოვი, ნეტო, ᲙᲠᲘᲪᲔᲕᲘᲩᲘ და მაინც ᲩᲕᲔᲜᲘ გუნდზე ამბობდნენ. რომ მას არა ᲰᲧᲐᲕᲡ მაღალი კლასის ოსტატები და შემსრულებლებიო. საინტერესოა, ახლა რას იტყვიან, როცა ნახავენ მალოფეევს, ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝსა და მათს მსგავსთ?

ᲘᲛ მაღალი კლასის ფეხბურთელთა შორის, რომლებიც შემდგომ პერიოდში გამოჩნდნენ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ნაკრებში, საგანგებო ადგილი ეკუთვნის მიხეილ მესხს, რომელმაც ერთსულოვანი აღიარება ᲰᲥᲝᲜᲐ საერთაშორისო ფეხბურთში. საერთოდ, სადავო არაა, რომ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ნაკრებს დიდ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ სახელი გაუთქვეს იაშინმა, ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲛᲐ, ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲛᲐ, ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲛᲐ და მესხმა.

ნ. მოროზოვმა ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝ არჩია მესხს არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ მესხი უნაკლო ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, მას აქვს ხარვეზები, რომელთაგან უმთავრესია უბურთოდ ცუდი თამაში, მაგრამ თუ [illegible] ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝს დადებით და უარყოფითი მხარეებს, სასწორი აშკარად მესხის სასარგებლოდ გადაიხრება და თუ ნაკრებს ხელმძღვანელობა ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝს არჩევს, გამოდის, რომ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ისევ 1958 წელს და აქცენტს ᲙᲕᲚᲐᲕ ათლეტიზმზე, ვაკეთებთ. სავსებით ვეთანხმები ლ. ფილატოვს, რომელმაც მესხის თამაზზე თავისი აზრი გამოთქვა „ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲨᲘ“. მესხს არ შეუძლია ითამაშოს ისე, როგორც თამაშობენ სხვები. მაშინ ის ხომ მესხი არ იქნებოდა, არამედ რიგითი მოთამაშე, ᲗᲐᲑᲚᲝᲜᲘᲜ მართალია, უბურთოდ მესხი ცუდად თამაშობს, მაგრამ ფეხბურთი ხომ ძირითადად ᲑᲣᲠᲗᲘᲗ თამაშია და არა უბურთოდ. და როცა მესხი ღებულობს ᲑᲣᲠᲗᲡ, თქვენ ᲩᲘᲛᲖᲔ კარგად იცით, რა ხდება მეტოქის დაცვაში.

სწორედ მესხს შეუძლია მასირებული დაცვის დამსხვრევა, მაგრამ საამისოდ რაციონალურად და მაქსიმალური ეფექტით უნდა იქნას გამოყენებული მისი შესანიშნავი თვისებები.

ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, გარკვეულ პერიოდში მესხი ფორმაში არ იყო. რა გამოსავალი უნდა მოეძებნათ მწვრთნელებს ნაკრებიდან გაშვება, თუ მისი ფორმაში შეყვანა? მოროზოვმა იოლი გზა არჩია. კლუბში გაუშვა მესხი და ამით ნაკრები დატოვა დიდი მასშტაბიანა და შესაძლებლობათა მქონე, ᲔᲤᲣᲢᲠᲐ-კლასის ფეხბურთელის გარეშე. ეს იოლი საქმეა: დატოვო რიგითი ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝ და გაუშვა „აზიზი“ მესხი. მესხი კი ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲓ თბილისის „დინაოში“. რამდენიმე ვარჯიში გაიარა და ახლა ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐᲓᲐᲛᲔ თამაშობს. დასასრული კი — მესხი ინგლისში ავტორიტეტს აუწევდა როგორც საბჭოთა, ისე ქართულ ფეხბურთს. მწვრთნელმა აგრეთვე ობა და აზარტი არჩია ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲣᲚᲝᲑᲐᲡ. მაგრამ თავად განსაჯეთ: რა შეიძლება შეედაროს ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲣᲚᲝᲑᲐᲡ?

● დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ წარმატება გისურვოთ მსოფლიო ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ. რას გადახცემთ საბჭოთა გულშემატკივრებს, რომლებიც ასე გულწრფელად უსურვებენ გამარჯვებას თავიანთ ნაკრებს ლონდონში?

— ამ საკითხში აბსოლუტურად ვეთანხმებით მოროზოვს: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ მათ — გამართულებოდეთ იმედები. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲗᲘᲗ კი მოლოდინის თვალით ᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲗ ინგლისისკენ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲔᲒᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲘᲙᲠᲔᲒᲡ

„ᲓᲘᲚᲐ“ (ᲒᲝᲠᲘ) — „ᲛᲣᲨᲐᲰᲢᲐ“ (ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ) 2:1 (0:0).

„ᲓᲘᲚᲐ“: ᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲥᲝᲛᲔᲠᲘᲐᲫᲔ), ᲙᲝᲑᲘᲫᲔ, ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ, ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲫᲔ, ᲭᲣᲗᲔᲘᲜᲝᲕᲘ, ᲮᲘᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲝᲜᲤᲣᲠᲘᲐ (ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ), ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ, ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ, ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲛᲔᲨᲐᲰᲢᲐ“: ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ, ᲩᲮᲔᲜᲯᲔᲚᲘ, ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ, ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ, ᲩᲘᲢᲐᲘᲐ (ᲑᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ), ᲕᲐᲜᲐᲩᲐ, ᲮᲣᲯᲐᲫᲔ (ᲐᲠᲔᲡᲘᲐᲜᲘ), ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ (ᲗᲝᲚᲝᲠᲝᲠᲐᲘᲐ), ᲚᲔᲕᲐᲕᲐ, ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ, ᲨᲔᲚᲔᲥᲘᲫᲔ.

ᲛᲮᲐᲯ Ი. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲔᲕᲘ (ᲑᲐᲥᲝ).

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ — ᲒᲝᲠᲘᲡ „ᲓᲘᲚᲐᲡ“ 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲡᲢᲠᲘᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ „ᲛᲣᲨᲐᲰᲢᲐ“.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲐᲦᲘᲜᲨᲔᲗ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡᲒᲐᲜ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲐᲓ. 29-Ე ᲬᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲣᲡᲒᲐ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡᲒᲐᲜ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲓᲘᲚᲘᲡ“ ᲙᲐᲠᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲮᲣᲯᲐᲫᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲢᲧᲐ.

ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲝᲠᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ. ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ.

— Გ. ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

2:2, 0:1, 0:0, 2:1

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲢᲩᲘᲡᲘᲪ. ᲐᲘ, ᲠᲐᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲕᲘᲗᲐ „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐᲛ“ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲔᲚᲘᲢᲘᲡᲗᲐᲜ „ᲣᲠᲐᲚᲐᲜᲘ“.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲒᲔᲗᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲘᲗ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲧᲤᲣᲠᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲘ, ᲠᲐᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ

„ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡᲐ“ და ᲛᲐᲘᲙᲝᲠᲘᲡ „ᲢᲠᲝᲤᲐᲘᲡ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲧᲠᲚᲐ, ᲠᲛ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲒᲜᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲙᲐᲞᲐᲠᲐᲕᲐᲛᲓ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲗ ᲘᲮᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲝᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ — 1:0.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲔᲚᲬᲘᲐᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: 88-Ე ᲬᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲤᲘᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲤᲔᲜᲐ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ.

Შ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ

ᲐᲥ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲕᲘ „

ემზადებიან

მსოფლიო ჩემპიონატამდე

◆ სტოკჰოლმი, 30 ივნისი. შვეციის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის თამაშს, რომელშაც გუშინ ქ. ვექშიოში დაამარცხა შვეციის ახალგაზრდული ნაკრები — 4:1. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (იუკანსონი). შესვენებამდე ჩისლენკომ საპაუსო ბურთი გაიტანა. შეორე ტაიმი სტუმრების დიდი უპირატესობით აღინიშნა — ჯერ პარკუიანმა, ხოლო შემდეგ ჭუსაინოვმა (ორჯერ) ანგარიში 4:1-მდე გაზარდეს.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: იაშინი (ბანიკოვი), კონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ოსტროვსკი, საბო, ვორონინი (ჭუსაინოვი), პარკუიანი (სერებრიანიკოვი), მაღოფეევი (მარკაროვი), ბანიშევსკი, ჩისლენკო.

ნორვეგიის დელეგათა საგენტოს სპორტული მიმომხილველი წერს: „საბჭოთა ფეხბურთელებმა რაციონალური თამაში გვიჩვენეს. გუნდი ყველა რგოლში თანაბრად გამოიყურება. მაგრამ მაინც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ნახევარმცველებმა დატოვეს. სწორედ მათი წყალობით ჰყავს გუნდს 6 მოთამაშე თავდასხმაშიც და დაცვაშიც“.

გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრები საერთაშორისო კლასის გუნდია. „სვენსკა დაგბლადეტი“ წერს: „ახალგაზრდა შვეციელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძლეს მეტოქეს. შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ყველაფერს აკეთებდნენ, რასაც კი მოისურვებდნენ“.

საბჭოთა ნაკრების მოთამაშეთაგან სპორტული მიმომხილველები, პირველ ყოვლისა, გამოყოფენ იაშინს, ბანიშევსკისა და ჩისლენკოს.

◆ ოსლო, 30 ივნისი. პირველ ხუთ წუთში ყველას ეგონა, რომ ინგლისის ნაკრები ვერ გაუმკლავდებოდა ნორვეგიელი ფეხბურთელების იერიშებს და გოლს გაუშვებდა. მაგრამ ეს არ მოხდა. შემდგომში სტუმრებმა სავსებით დაჯაბნეს მეტოქე და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:1. 4 ბურთი ნორვეგიის ნაკრების კარში გაიტანა გრივსმა, ხოლო თითო — კონელიმ და მურმა.

ინგლისელები თამაშობდნენ სქემით 4+3+3. რომლის შემსრულებლები იყვნენ სპრინჯეტი, კოენი, ბირნი, სტაილსი, ფლაუერსი, მური, პეინი, გრივსი, ბ. ჩარლტონი, ჰანტი და კონელი.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი თავისი ბიჭებით, ცხადია, კმაყოფილი დარჩა, თუმცა მატჩის შემდეგ ისიც თქვა, რომ ჩვენი ამოცანა კიდევ მეტი შეთანხმებულობის მილწევაა.

◆ ფლორენციი, 30 ივნისი. „იტალიის ნაკრებმა განმაცვიფრა“, — ასე განაცხადა მექსიკის ნაკრებთან იტალიელების მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ი. ტრელსმა. შემდეგ მან თქვა, რომ, მისი აზრით, იტალიის ნაკრები მომავალი ჩემპიონატის ისევთავე ფავორიტია, როგორც ბრაზილია და ინგლისი.

იტალიელებმა, რომლებიც ამ მატჩში თამაშობდნენ სქემით 4+2+4, მექსიკელებს მეტისმეტად სწრაფი ტემპი შესთავაზეს და პირდაპირ მოსრეს. მეორე ტაიმში, როცა სტუმრები მწვავე კონტრშეტევებს ეეცადნენ, შესანიშნავად გამოიჩინეს თავი იტალიელმა მცველებმა. მატჩის ანგარიშია 5:0.

გოლები გაიტანეს: ბულგარელიმ (2), რივერამ (2) და მაცოლამ.

გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ალბერტინი, ბურგნიჩი, როზატო, სალვატორე, ფაკეტი, ლოდეტი (ბერტინი), მერონი, ბულგარელი, მაცოლა, რივერა, პასკუტი. მექსიკის ღირსებას იცავდნენ — კალდერონი, ჩერესი, პენია, ნუმიესი (დელ მურო), ერნანდესი, დიასი, რუვალკაბა, მუნიოსი (პადილია), სისნეროსი, ფრაგოსო, ნავარო.

◆ პრემსი, 30 ივნისი. ავსტრიის ამ ქალაქში არგენტინის ნაკრებმა დაამარცხა ადგილობრივი კლუბი — 3:1.

როგორც უცხოეთის საგენტოები აღნიშნავენ, არგენტინელებმა გამოამჟღავნეს თავიანთი როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ესაა ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობა და კარში ლამაზი დარტყმები, და ამავე დროს, კომბინაციური თამაშისა და კოლექტიური მოქმედების სრული უგულებელყოფა.

ჯანვარჯიშულ იარაღებზე

გოტვალდოვი. აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი. გიმარჯვა მუდრიკმა — 113 ქულა. II ადგილზეა კლეჩკა — 112,5, ხოლო III — ჟუბიჩკა — 112,4.

კარლ-მარქს-შტადტი. გდრ-ის ტანმოვარჯიშე ქალთა ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ დაშავებული ბ. რადოლა და უ. შტარკე. უძლიერესის წოდება დაიპაკუთრა ე. ბარტ-ცუკოლდმა — 77,85 ქულა (ასეთი შედეგი ჯერ არც ერთ გერმანელ ტანმოვარჯიშე ქალს არ უჩვენებია). ვერცხლის მედალი მოიპოვა რ. ჰიორტიგმა (76,35), ხოლო ბრინჯაოსი — ა. შტრიგლერმა (76,15).

თავად მატჩი საინტერესოდ ვითარდებოდა. ანგარიში პეხალტით გახსნეს მასპინძლებმა, ხოლო მერე მათვე გაათანაბრეს იგი — საკუთარ კარში გაიტანეს გოლი. შესვენების შემდეგ არგენტინელებმა სარმარიმ და არტიმეს 2 ბურთი მოათავსეს მეტოქეთა კარში.

◆ ლანსი, 30 ივნისი. უნგრეთის ნაკრებმა, რომელმაც ფრანგ მაყურებელს მწვავე, კომბინაციური თამაში უჩვენა, აქ დაამარცხა ადგილობრივი გუნდი — 5:1.

◆ პონტევედრა, 30 ივნისი. ესპანეთის ნაკრების მორიგი სპარინგ-პარტნიორი იყო ავსტრიის „ვინერი“. გიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:0. ამავე დღეს მათ გამოაცხადეს ნაკრების 22 წევრი: რევილა, ადელარდო, გლარია, უფარტე, ბეტანკური, ხანჩეი, სოკო, პირი, ამანსიო, ჰენტო, რეინა, ელადიო, ოლივეიია, ხალეგო, ფუსტე, მარსელინო, რეიჰა, ლაპეტრა. ირიბარი, სუარესი, დელ სოლი, ეეირო.

◆ ბეტენბორგი, 1 ივლისი. ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე 22 ფეხბურთელს დაასახელებდა, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ თავისი აღსაზრდელები შვეციის ნაკრებთან მატჩში გამოსცადა. საინტერესო თამაში, რომელსაც 50 ათასი მაყურებელი (მათ შორის, სსრ კავშირის ნაკრების ყველა წევრი) ადევნებდა თვალს, დამთავრდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა ძნელი გამარჯვებით — 3:2.

ფეოლამ ასეთი შემადგენლობა გამოიყენა: ჟილმარი, ფიდელისი, ბელინი, ორლანდო, ენრიკე, ლიმა, ჟერსონი, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე, პარანა.

თავიანთი ერთგვარი უპირატესობის რეალიზება ბრაზილიელებმა მხოლოდ 43-ე წუთზე მოახერხეს (ტოსტაო).

მე-60 წუთზე შვეციელმა კინდვალმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 2 წუთის შემდეგ მანვე დააწინაურა მასპინძლები. მაგრამ აი, ტოსტაომ გაიტანა თავისი შეორე ბურთი — 2:2. თამაშის დამთავრებას 7 წუთი რომ უკლდა, ჟერსონ — ბურთი. [illegible] მით გამარჯვება მოუტანა ბრაზილიას — 3:2.

მეორე ტაიმის შუაში ჟაირზინიოს მაგივრად მინდორზე გამოვიდა გარინჩა, ხოლო დამავებული პარანა 16 წლის ედუმ შეცვალა.

მატჩის შემდეგ ფეოლამ განაცხადა, რომ უკმაყოფილოა თავისი ბიჭებით. „მსოფლიო ჩემპიონატში მათ უკეთესად უნდა ითამაშონ“, — თქვა ბრაზილიელთა მწვრთნელმა.

აი, რა თქვა შვეციის ნაკრების მწვრთნელმა ო. ბერგმარკმა: „ეს იყო ორი გუნდის საუკეთესო მატჩი ყველა იმათგან, რაც მე საერთოდ მინახავს“.

პელეს აზრით, შვეციელები სულაც არ უხეშობდნენ და ძალიან კარგად შეძლეს მეტოქეთა მეურვეობა და მათგან თავის დაღწევა ძნელი იყო.

„შვეციის ნაკრები ვაკაცურად თამაშობდა და მეტოქის ყოველ შეცდომას იყენებდა, — განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა. — მისი მცველები ერთობ კარგად ხვდებოდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელების ჩანაფიქრს. ბრაზილიელთაგან განსაკუთრებით მომეწონა 19 წლის ტოსტაო“.

◆ ბალაშილსი (შოტლანდია) 1 ივლისი. „ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმცა მათ ზოგიერთი რამ კიდევ უნდა დახვეწონ“, — თქვა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ა. გერენმა მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა აქ გამართულ საწვრთნელ მატჩში [illegible] ადგილობრივი გუნდი — 8:1. გერენს განსაკუთრებით მოეწონა ნახევარმცველი ხიმონი და ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 20 წლის თავდამსხმელი ერბე (მან 2 გოლი გაიტანა). დანარჩენი გოლების ავტორები არიან: გონდე, ჰაუსერი, კუკუ (2) და კომბენი (2).

მატჩს 2 ათასი მაყურებელი დაესწრო. თამაშის დროს დაშავდა ფრანგი თავდამსხმელი ბლანშე. იგი მინდვრიდან გაიტანეს, მაგრამ გერენი იშუამავლებს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

ინგლისელებმა უამრავი სუვენირი მიუძღვნეს მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატს. ამ დიდ ახპარეზობას თავისებურად ეხმაურებიან კაფეები და ბარებიც კი.

სურათზე: ლონდონ-სიტის ერთ-ერთი ბარმენი ახალი ორიგინალური სასმისის დემონსტრირებას ახდენს. სასმისი ბურთის ფორმისაა და სარქველზე ფეხბურთელის პაწია მოოქრული ფიგურა აქვს დამაგრებული. ბარის მაგიდებზე და ვიტრინებში გამოფენილია პატარა დროშები ჩემპიონატის ემბლემით, ლუდის ბოთლებსაც მომავალი საფეხბურთო ბატალიებისადმი მიძღვნილი ეთიკეტები აკრავთ.

ფოტო მ. განკინისა (აას-ი).





გეწვზე გადარჩა

ეს მოხდა გუდვუდში (ინგლისი) ავტორბოლის დროს. დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა“ ეს სურათები დაბეჭდა და დაწვრილებით აღწერა უბედური შემთხვევა:

ავტომანქანა, რომელსაც ნომრად 116 ჰქონდა, მეორე წრეზე მთელი სისწრაფით რბოლის დროს უეცრად ჰაერში გაფრინდა, კინადამ ქვეშ მოიყოლა მანქანა №105 და მთლად ცეცხლში გახვეული მიწას დასცდა. მრბოლელი პეტერ პროტეტერი ამაოდ ლამობდა კარის გაღებას — ვერას გახდა, უკანა სარკმელი ჩაამტვრია და პირდაპირ ცეცხლში გადაეშვა. სპორტსმენს მაშინვე ალი შეეფინა. იგი გადმოხტა, მიწაზე გაგორდა, რომ როგორმე ტანზე წაკიდებული ცეცხლი ჩაქრო, მაგრამ უეცრად ზონი წაერთვა და გაუნძრეველად გაიშოტა. საბედნიეროდ, მეხანძრეებმა დროზე მიუსწრეს... „პროტეტერს რამდენიმე წუთის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს ცეცხლმქრობებით. შემდეგ ხელი მოკიდეს და გვერდზე გაათრიეს, — მანქანას მოაშორეს. იმავე წამს აფეთქდა ბენზინის ავზი.

მძიმედ დაშავებული სპორტსმენი საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმები დიდხანს იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ახლა პროტეტერმა კიდევ კარგა ხანს უნდა იმკურნალოს, რომ დამწვრობა მოირჩინოს.

პროფესიონალთა ავტორბოლებს არც ინგლისსა და არც ბევრ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში დიდი ხანია აღარაფერი აქვთ საერთო სპორტთან. ეს ასპარეზობები თანდათანობით გადაიქცა მხოლოდ რეკლამის წყაროდ. ახლა ავტორბოლები საქმოსნებისთვის ჯიბის გასქელების საუკეთესო გზაა, ბევრი სპორტსმენისთვის კი — ჭეშმარიტი ტრაგედია.

ᲡᲐᲮᲘᲝᲜᲒᲘ-ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის დედაქალაქის აეროდრომზე დაეშვა პატარა, ერთძრავიანი თვითმფრინავი. — „ჯომახრი“. ამ თვითმფრინავით მარტომ შემოუფრინა დედამიწას 39 წლის შეილა სკოტმა — მფრინავმა ქალმა. პროფესიით იგი მსახიობია. თვითმფრინავი სკოტის მეორე გატაცებაა.

ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲚᲘᲡ ᲐᲚᲗᲘᲥᲛᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. „სარბენი ბილიკის კერპს“, სახელგანთქმულ მიშელ ჟაზის 30 წელი შეუსრულდა. ფრანგმა მორბენალმა ეს იუბილე აღნიშნა განცხადებით, რამაც დიდად დაანაღვლიანა მისი თაყვანისმცემლები. მან თქვა, რომ სამუდამოდ დაანებებს თავს სპორტს, როგორც კი დამთავრდება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ამ შემოდგომით ჩატარდება ბუდაპეშტში.

— მე ვიბრძოლებ, რომ მოვიპოვო შედლები 1.500 და 5.000-მეტრიან დისტანციებზე, — თქვა ჟაზმ. — მეხიკოში კი არ გამოვალ, ვინაიდან მაღალმთიან პირობებში წარმატების იმედი არ მაქვს.

თუმცა ჟაზმ სწორედ ამ განცხადების მეორე დღეს დაამყარა ევროპის რეკორდი 1.500-მეტრიან დისტანციაზე. იქნებ, მძლეოსნობის მოყვარულთა გულის გასახარად, სარბენ ბილიკზე წარმატებამ ფრანგ სპორტსმენს აღთქმა გაატეხინოს?

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ“ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. დანიაში „პირველი მერცხალი“ საბჭოთა ცხენოსანი მარია ბურდოვა აღმოჩნდა. მანამდე იქ სადღეგრძელ გამოცდის დროს ქალი არასოდეს ყოფილა მხედარი. სტუმრისთვის რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის ნება დაერთოთ, საგანგებო გადაწყვეტილების გამოტანა შეიქნა საჭირო.

ამის შემდეგ კი დანიაში საკუთარი მხედარი ქალებიც გამოჩნდნენ. სხვათა შორის, 20 წლის ჰრისტელ ჰანსენმა ამას წინათ გამართულ ასპარეზობაში ათ კაცს გაუსწრო და ფინიშთან მეხუთემ მიიყვანა ცხენი.

მაღე სარბიელზე გამოვა მეორე დანიელი ცხენოსანი ლენა ენსენი, ცნობილი დანიელი მწვრთნელის — ენს ენსენის შვილიშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲘᲖᲘᲡᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). დღეს — დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი (ლენინის ქ. № 42). 2-6 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲣᲨᲘ. ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 2 ივლისი. ამიერკავკასიის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9 უე 01639